პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/122/2015

მ.თ.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **01/09/2015**

განმცხადებელი: მ.თ. (პ/ნ **********)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს მიერ განმცხადებლის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაჯაროებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

აღწერილობითი ნაწილი

2015 წლის 01 ივლისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქე მ.თ.-მ და მიუთითა, რომ არის ბერძნული ენის დიპლომირებული და სერტიფიცირებული თარჯიმანი, ამჟამად კი მუშაობს შპს „ბ“-ში. შპს „ა“-მ 2015 წლის ** *****-ს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: SPA ********, შემსყიდველი: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საგანი: მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურება) მონაწილეობის მიღებისას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთა განმცხადებლის დიპლომი, მისი თანხმობის გარეშე. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ იქნა იმ პირთა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლებიც უშუალოდ განახორციელებდნენ თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურებას. ელექტრონული ტენდერის ფარგლებში, შპს „ა“-ს ატვირთული ჰქონდა რამდენიმე დიპლომი, მათ შორის, განმცხადებლის დიპლომი BN№*****, რომლის თანახმადაც, განმცხადებელს მინიჭებული აქვს ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ქართული ენისა და ლიტერატურისა და კლასიკური ენების მასწავლებლის კვალიფიკაცია. აღნიშნული დოკუმენტი სატენდერო კომისიამ დაიწუნა შერჩევის ეტაპზე, რადგანაც არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ პირობებს, ვინაიდან მათ მიერ მოთხოვნილი იქნა ბერძნული

ენის სპეციალისტის დიპლომის ატვირთვა. მოგვიანებით, შპს „ა“-მ განმცხადებლის დიპლომის ნაცვლად ატვირთა სხვა თარჯიმნის დიპლომი და ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

განცხადებას თან ერთვის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA *********) მონაწილეობისას ატვირთული დოკუმენტების ასლები, რომელიც ამავე დროს ხელმისაწვდომია სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე - https://tenders.procurement.gov.ge/***** /*******.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 06 ივლისის №გ-1/080/2015 გადაწყვეტილების საფუძველზე, განსახილველად იქნა მიღებული მ.თ.-ს განცხადება და საქმის გარემოებათა შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შპს „ა“-სგან.

2015 წლის 15 ივლისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში (შემდგომში - აპარატი) წარმოდგენილი იქნა შპს „ა“-ს წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ კომპანია არ ეთანხმება მ.თ.-ს პრეტენზიას და მოითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას, რადგანაც გასულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ვადა. გარემოება, რომელსაც ემყარება განმცხადებლის პრეტენზია, მოხდა 2015 წლის ** *****-ს, მას არ ჰქონია დენადი ხასიათი და ტენდერი უკვე 5 თვეზე მეტია დასრულდა. ამდენად, ამოწურულია ინსპექტორის მიერ ამ საკითხის განხილვის ყველა საპროცესო ვადა. კომპანიის წერილში მითითებულია, რომ მ.თ. წლების განმავლობაში თანამშრომლობდა შპს „ა“-სთან და 2015 წლის ** *****-ს - სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ტენდერში მონაწილების დროისათვის - იყო კომპანიის თანამშრომელი (თარჯიმანი). თანამშრომლობა ხორციელდებოდა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, განმცხადებელი შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ იღებდა გარკვეულ საოფისე მომსახურებას.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, განმცხადებელმა, ისევე როგორც სხვა თარჯიმნებმა, თავად მიაწოდეს ორგანიზაციას პერსონალური მონაცემები შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, რაც შემდგომში ატვირთულ იქნა კომპანიის მიერ შექმნილ სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში. მ.თ.-მ დაახლოებით 5 თვის წინ განაცხადა სიტყვიერად უარი შპს „ა“-სთან თანამშრომლობაზე და ამის შემდეგ კომპანიას მისი მონაცემები აღარ გამოუყენებია.

ყველა თარჯიმანი, ისევე როგორც მ.თ., ინფორმირებული იყო ტენდერში მონაწილეობისას, საჭიროებისამებრ მათი დოკუმენტის ატვირთვის შესახებ, რის შესახებაც მათ განაცხადეს თანხმობა. წარმომადგენლის განმარტებით, ყოველ კონკრეტულ ტენდერთან დაკავშირებით არ ხდება თარჯიმნის გაფრთხილება, ყველა თარჯიმანს საერთო ჯამში, ზოგადად მიეწოდა ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის შესახებ.

2015 წლის 23 ივლისს აპარატში გაიმართა განცხადებასთან დაკავშირებული ზეპირი განხილვა, რომელსაც ესწრებოდა შპს „ა“-ს წარმომადგენელი და განმცხადებელი. განხილვაზე განმცხადებელმა დამატებით განმარტა, რომ დაახლოებით 2006-2007 წლებში თანამშრომლობდა კომპანიასთან, თუმცა მათ შორის წერილობითი კონტრაქტი არ არსებობდა. განმცხადებელს კომპანიაში არ ჰქონდა გამოყოფილი სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აწვდიდა კომპანიას მომზადებულ დოკუმენტებს. რადგანაც განმცხადებელი გრძნობდა კომპანიისაგან გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებას, გაწყვიტა საქმიანი ურთიერთობა. განმცხადებლის მითითებით, ის კომპანიასთან 2015 წელს უკვე აღარ თანამშრომლობდა, თუმცა მას უკავშირდებოდნენ და სთხოვდნენ ხელშეკრულების გაფორმებას, რაზეც უარი განაცხადა.

განმცხადებელი მომსახურებას უწევს ნოტარიუსებს და თარგმნის მათგან მოწოდებულ დოკუმენტებს. შესაძლოა ნოტარიუსის მიერ მისთვის მიწოდებული ყოფილიყო უშუალოდ შპს „ა“-ს დოკუმენტებიც, მაგრამ მისთვის, როგორც წესი, უცნობია იმ კომპანიის დასახელება, ვისთვისაც ახდენს თარგმნას. ასეთ დროს ის ელექტრონული ფორმით უგზავნის ნათარგმნ მასალას ნოტარიუსს, მასთან ანგარიშსწორებასაც ნოტარიუსი ახდენს.

განმცხადებელმა განმარტა, რომ დაახლოებით 2006 წელს მიაწოდა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი შპს „ა“-ს, შემდგომ კი შემთხვევით აღმოაჩინა, რომ მისი დიპლომის ასლი სსიპ შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე იყო ამ კომპანიის მიერ ატვირთული.

განმცხადებელი განმარტავს, რომ კომპანიის წარმომადგენლებმა არ მიაქციეს ყურადღება დიპლომში მითითებულ ტექსტს („კლასიკური ფილოლოგია“) და დიპლომი ატვირთეს როგორც ბერძნული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი. მისთვის არ უკითხავთ დიპლომის გამოყენების შესახებ და ამიტომაც მოხდა ხარვეზის დადგენა. კლასიკური ფილოლოგია გულისხმობს ბერძნული ენის თარჯიმნის სპეციალობასაც, თუმცა დამატებით საჭირო იყო დიპლომის დანართის წარდგენა, სადაც მითითებულია, რომ განმცხადებელს ყველაზე დიდი ოდენობის კრედიტები დაგროვილი აქვს ახალ ბერძნულ ენაში (განმცხადებელმა წარმოადგინა დიპლომის დანართი). ვინაიდან, განმცხადებელს პირადად აქვს ტენდერებში მონაწილეობის გამოცდილება, მისთვის ცნობილი იყო, რომ სატენდერო კომისია აუცილებლად ხარვეზიანად მიიჩნევდა ამგვარ დიპლომს, თუ მას არ ექნებოდა შესაბამისი დანართი. ნოტარიუსებთან თანამშრომლობის ფარგლებში, განმცხადებელს მათთვის წარდგენილი აქვს დიპლომისა და დანართის ასლი. როდესაც სატენდერო კომისიამ დაიწუნა დოკუმენტი, კომპანიამ არ გააკეთა განმარტება (რადგან განმცხადებელი არ იყო მათი თანამშრომელი), ნაცვლად განმარტებისა ატვირთა სხვა დოკუმენტი. დაზუსტებულ დოკუმენტებში უკვე აღარ არის განმცხადებლის დიპლომი.

შპს „ა“-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპანიაში მუშაობის დაწყებისთანავე ყველა პირი წარადგენს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირადობის

მოწმობის ასლს. აღნიშნული დოკუმენტები აისახება კომპანიის ბაზაში ელექტრონული ფორმით და ინახება თარჯიმნების კომპანიასთან თანამშრომლობის პერიოდით. დაახლოებით 5 თვეა კომპანიის ბაზიდან წაშლილია მ.თ.-ს დიპლომისა და პირადობის მოწმობის ასლები. 2015 წლიდან, რაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა გახდა ტენდერებში მონაწილეობა, თითქმის ყველა თარჯიმანს შეატყობინეს ეს ინფორმაცია და მათ განაცხადეს თანხმობა დიპლომების ატვირთვასთან დაკავშირებით. ხშირად პირადად ხდება თარჯიმანთა ინფორმირება, ასევე კომპანია სატელეფონო გზით უკავშირდება მათ და ამგვარად მოიპოვებს ზეპირსიტყვიერ თანხმობას. კომპანიის წარმომადგენლის მითითებით, ყოველ კონკრეტულ ტენდერზე არ ხდება მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება, არამედ თარჯიმნებს ზოგადად მიეწოდათ ინფორმაცია კომპანიის მხრიდან ტენდერში მონაწილეობის შესახებ. ამასთან, წარმომადგენლმა განმარტა, რომ განმცხადებლისთვის კარგად არის ცნობილი სატენდერო წესები, თუ მას არ სურდა, მისი დოკუმენტები ყოფილიყო ატვირთული ტენდერის ფარგლებში, კომპანიისათვის უნდა მიემართა მოთხოვნით, რადგან მან თავად გადასცა კომპანიას დიპლომი და ამგვარად გახადა დიპლომი ხელმისაწვდომი, აშკარა უარი კი მის გამოყენებაზე არ განუცხადებია.

ზეპირ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები, რომლებიც კომპანიის წარმომადგენლის მითითებით, ადასტურებენ, რომ მ.თ. ბოლო წლებში თანამშრომლობდა მათ ორგანიზაციასთან. კერძოდ, წარმოდგენილი იქნა 2014 წლის 26 მარტის სანოტარო აქტი (თარგმნილია ბერძნულიდან ქართულ ენაზე), ასევე 2014 წლის 10 იანვრის სანოტარო აქტი, სადაც მითითებულია, რომ თარგმანი შესრულებულია მ.თ.-ს მიერ (ახლავს ხელმოწერა).

შპს „ა“-ს ზეპირ განხილვაზე დაევალა იმ თარჯიმანთა (ვ.ნ., ჯ.ა., ს.ბ., ო.გ., ნ.კ., დ.ლ., კ.ს., ო.ვ., ბ.მ.) მის ხელთ არსებული საკონტაქტო მონაცემების წარმოდგენა, რომელთა დოკუმენტებიც ატვირთულ იქნა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA *********) მონაწილეობისას.

2015 წლის 27 ივლისს აპარატში თარჯიმანთა საკონტაქტო მონაცემები წარმოდგენილი იქნა ნაწილობრივ, რადგანაც, როგორც წერილშია აღნიშნული, კომპანიას თარჯიმანთა ნაწილთან დიდი ხანია შეწყვეტილი აქვს ურთიერთობა. დამატებით, იმისათვის რომ კარგად წარმოჩინდეს ორგანიზაციაში თანხმობის მოპოვების დანერგილი პრაქტიკა, აპარატისათვის კიდევ 5 თარჯიმნის საკონტაქტო მონაცემები იქნა წარმოდგენილი. ასევე, წარმოდგენილ იქნა 2015 წლის 27 ივლისს შედგენილი წერილობითი განცხადება „გაცემული ზეპირი თანხმობების წერილობითი სახით დადასტურების შესახებ“, სადაც აღნიშნულია, რომ დოკუმენტზე ხელმოწერით თარჯიმნები (ვ.ნ., თ.ა., ო.გ., კ.ს.) ადასტურებენ მათ მიერ თანხმობის გაცემას 2014 წლის ნოემბრიდან შპს „ა“-ს მიერ ტენდერებში მონაწილეობისას მათი პერსონალური მონაცემების ატვირთვის თაობაზე.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „ა“-სა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის 2015 წლის ** ***-ს გაფორმებული ხელშეკრულება ზეპირი, სინქრონული და სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის თარგმნისა და

ნოტარიულად დამოწმების მომსახურების შესახებ. ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2015 წლის 31 ივლისს აპარატში წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაცია განმცხადებლის მიერ, სადაც აღნიშნულია, რომ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA ********) მონაწილეობისას ატვირთულ იქნა სხვა თარჯიმნების დიპლომები (ბ.მ., ს.ბ., ვ.პ.), რომლებსაც არ განუცხადებიათ თანხმობა მათი დოკუმენტების გასაჯაროების შესახებ.

განმცხადებლის მიერ 2015 წლის 06 აგვისტოს აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მასსა და შპს „ა“-ს შორის არ არსებობდა ხელშეკრულება, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ახდენდა ის მათთვის მომსახურების გაწევას, თუმცა 2014 წლის 09 ოქტომბრის შემდეგ მას არ უთარგმნია კომპანიის მიერ მიწოდებული დოკუმენტები. შესაძლებელია ამ დროის შემდეგ კომპანიაში ინახებოდეს მისი ნათარგმნი დოკუმენტები, რომელიც, როგორც აღნიშნა კიდეც ზეპირ განხილვაზე, ნოტარიუსისაგან აქვს მიწოდებული. კომპანიისაგან განმცხადებელი ანაზღაურებას იღებდა ხელზე.

შპს „ა“-ს ინსპექტორის აპარატის 2015 წლის 07 აგვისტოს №639/01 წერილით ეთხოვა 2014-2015 წლებში მ.თ.-სთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოდგენა. შპს „ა“-ს მიერ აპარატში 2015 წლის 15 აგვისტოს წარმოდგენილ საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ მ.თ.-ს მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება არ ხდებოდა თანხობრივად, რადგანაც მისივე თანხმობით ხორციელდებოდა საოფისე მომსახურების გაწევა (ფერადი და შავთეთრი პრინტერი, სკანერი, ქსეროასლი და სხვა). განმცხადებელი ამ ფაქტს არ ადასტურებს და უთითებს, რომ იყო შემთხვევა, როდესაც ისარგებლა ფერადი პრინტერით და ამობეჭდილი გვერდების საფასური გამოაკლდა თარგმანისთვის გადასახდელ ანაზღაურებას.

აპარატში გამოცხადდა 7 თარჯიმანი კერძოდ, ვ.ნ., კ.ს., ჯ.ა., დ.ლ., ე.ო., ზ.კ., ი.ხ., ო.გ.-სა და ვ.პ.-სთან დაკავშირება მითითებულ ნომრებზე ვერ მოხერხდა.

თარჯიმნებმა ვ.ნ.-მ, ზ.კ.-მ, კ.ს.-მ, ი.ხ.-მ, და ე.ო.-მ დაადასტურეს, რომ კომპანიის წარმომადგენელი მათ დაუკავშირდა ტელეფონით და შეატყობინა შპს „ა“-ს მიერ ტენდერებში მონაწილეობის მიღების შესახებ და აცნობეს, რომ ამ მიზნით გამოიყენებდნენ მათ დიპლომებს. მათი განმარტებით, კონკრეტულად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერზე არ ყოფილან ინფორმირებულნი. დასახელებულმა თარჯიმნებმა ვერ მიუთითეს მათი მხრიდან მონაცემთა დამუშავების შესახებ თანხმობის გაცემის ზუსტი დრო.

თარჯიმანმა დ.ლ.-მ მიუთითა, რომ მას არ გაუცია თანხმობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მისი დიპლომის გამოყენების თაობაზე, უფრო მეტიც, მას 2015 წლის აგვისტოს დასაწყისში დაუკავშირდა კომპანიის

წარმომადგენელი და სთხოვა, რომ ინსპექტორის აპარატის წინაშე დაედასტურებინა ზეპირი თანხმობის არსებობის ფაქტი.

თარჯიმანმა ბ.მ.-მ განმარტა, რომ მან განცმხადებელ მ.თ.-სა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლისაგან შეიტყო, რომ მისი დიპლომი გასაჯაროებულია სააგენტოს ვებგვერდზე. აღნიშნულ საკითხზე ის დაუკავშირდა შპს „ა“-ს და მოითხოვა განმარტება. როგორც კომპანიაში აუხსნეს, ალბათ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რადგანაც მას „სკაიპის“ საშუალებით მისწერეს მისი დიპლომის გამოყენების შესახებ. ბ.მ. არ ადასტურებს ამგვარი შეტყობინების მიღების ფაქტს.

როგორც თარჯიმანმა ჯ.ა.-მ განმარტა, მას ინსპექტორის აპარატში გამოცხადებამდე არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ მისი დიპლომი ატვირთული იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით წარდგენილ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2015 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით ატვირთულია ვ.ნ.-ს, ჯ.ა.-ს, ს.ბ.-ს, ო.გ.-ს, ნ.კ.-ს, დ.ლ.-ს, მ.თ.-ს, კ.ს.-ს, ვ.პ.-ს, მ.ს.-ს, ლ.ჯ.-სა და ბ.მ.-ს დიპლომების, ხოლო ო.ვ.-ს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლები.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აპარატის 2015 წლის 22 ივლისის №567/01 წერილით ეთხოვა განცხადებასთან დაკავშირებულ განხილვაზე გამოცხადება და პოზიციის წარმოდგენა. სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებითა და სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 12 აგვისტოს №3565 წერილში განმარტებულია შემდეგი:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (შემდგომში - სისტემა) არის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ოფიციალური პორტალი (https://tenders.procurement.gov.ge), რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის. სააგენტო პასუხისმგებელია მხოლოდ სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარებასა და მასში მონაწილეობის მიღებას, სისტემაში სათანადო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ატვირთვის ჩათვლით, უზრუნველყოფენ სახელმწიფო შესყიდვის მონაწილეები - შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი (შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი, პრეტენდენტი ან მიმწოდებელი). თავად სააგენტო სისტემაში არ განათავსებს პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტაციას. სისტემა ფუნქციონირებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის შესაბამისად სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სააგენტოს პოზიციით, ის არ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, რამდენადაც იგი არც მონაცემთა დამმუშავებლის სახელით და არც დამმუშავებლისთვის არ ამუშავებს

პერსონალურ მონაცემებს. სისტემა არის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პორტალი, რომელსაც შესყიდვების მონაწილეები დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობითა და სააგენტოს ჩარევის გარეშე იყენებენ დასახული მიზნების მიღწევისთვის. სისტემაში შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია იტვირთება სააგენტოსთან და საზოგადოებასთან ანგარიშგების მიზნით. სააგენტოს კანონისმიერ უფლება-მოვალეობას განეკუთვნება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვა და შესრულება, შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა. ამდენად, სისტემის საჯაროობა და მასში შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლების მიერ დოკუმენტაციის ატვირთვა ემსახურება სააგენტოს მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის გამოც სააგენტო საკუთარი მიზნების მისაღწევად, დამოუკიდებლად გვევლინება სისტემაში განთავსებულ მონაცემთა დამმუშავებლად. სააგენტო სისტემაში განთავსებულ მონაცემებს არ ამუშავებს არც მონაცემთა დამმუშავებლისთვის (შემსყიდველი ორგანიზაცია თუ მიმწოდებელი) და არც მონაცემთა დამმუშავებლის სახელით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო არ წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ან მიმწოდებლის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირს.

რაც შეეხება ტენდერში ატვირთული დოკუმენტის წაშლას ან ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, დღეს არსებული პროგრამული უზრუნველყოფით, არ არის გათვალისწინებული სისტემიდან დოკუმენტის წაშლის ფუნქცია. არსებობს მხოლოდ დოკუმენტის გაუქმების („გადახაზვის“) საშუალება, თუმცა გაუქმებული დოკუმენტი, ისტორიის სახით, ინახება სისტემაში და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დოკუმენტის წაშლა ან მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, შესაქმნელია ახალი ელექტრონული სერვისი და ლოგირების ფუნქცია. იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, სააგენტო ტენდერში ატვირთული დოკუმენტის წაშლას ან ხელმისაწვდომობის შეზღუდვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

2015 წლის 31 აგვისტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000042 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც არ დაეთანხმა შპს „ა“-ს წარმომადგენელი და აღნიშნა, რომ ყველა თარჯიმნისაგან ზეპირსიტყვიერად იყო მიღებული თანხმობა, თუ რომელიმე მათგანი უარყოფს აღნიშნულს, ამის მიზეზი განმცხადებლის მხრიდან მათი გადაბირებაა.

სამოტივაციო ნაწილი

მ.თ.-ს მიერ ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი განცხადებისა და მასალების, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ინსპექტორმა იმსჯელა მ.თ.-ს 2015 წლის 01 ივლისის

განცხადებაში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და შპს „ა“-ს მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობაზე:

შპს „ა“-ს მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების (მათ შორის, გასაჯაროების გზით) კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი.

როგორც განმცხადებლისაგან, კომპანიის წარმომადგენლისა და კომპანიასთან სხვადასხვა დროს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი თარჯიმნებისაგან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, თარჯიმანთა მიერ შემდგომი თანამშრომლობის მიზნით კომპანიას წარედგინა დიპლომისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. დოკუმენტების ასლები თარჯიმანსა და კომპანიას შორის თანამშრომლობის პერიოდში ინახება კომპანიის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში ელექტრონულად. დასახელებულ შემთხვევაში განმცხადებელმა თავად მიაწოდა კომპანიას მისი პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, რომელიც, როგორც კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, 5 თვის წინ წაიშალა და ამ ეტაპზე აღარ ხდება მისი გამოყენება.

რაც შეეხება მ.თ.-ს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაჯაროებას სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით, კომპანიის განმარტებით, მან ერთჯერადად მოიპოვა ზეპირსიტყვიერი თანხმობა განმცხადებლისაგან მისი მონაცემების გასაჯაროების თაობაზე. კომპანიას, გარდა განმცხადებლის თანხმობისა, მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველზე მითითება არ მოუხდენია.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა განსაზღვრული განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობის ტვირთი.

მოცემულ შემთხვევაში კომპანიამ ვერ წარმოადგინა განმცხადებლის თანხმობის არსებობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, კერძოდ:

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში შპს „ა“-ს მონაწილეობის დროისათვის (2015 წლის ** *****) არ დგინდება მ.თ.-სა და შპს „ა“-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა, კომპანიამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლისათვის მის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოდგენა.

შემსყიდველის მიერ თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურებების შესყიდვისათვის (CPV-00000001, 00000002) დადგენილი პირობების მე-2 მუხლის 2.1.2. „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს იმ პირების შესაბამისი ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურებას. ამ მიზნით შპს „ა“-ს მიერ ატვირთული იქნა მ.თ.-ს, ჯ.ა.-ს, დ.ლ.-ს, დიპლომები, თუმცა ისინი, როგორც თავად განმარტავენ, ტენდერის მიმდინარეობის დროს არ უწევენ კომპანიას აღნიშნულ მომსახურებას.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კომპანიამ აპარატში ვერ წარმოადგინა იმ თარჯიმანთა (ო.ვ., ს.ბ., ნ.კ., ვ.პ., მ.ს., ლ.ჯ., ბ.მ.) საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთა დიპლომიც დღეის მდგომარეობით ატვირთულია სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე. აღნიშნული პირების თანხმობის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს ის ფაქტიც, რომ კომპანია არ ფლობს მათ საკონტაქტო მონაცემებს, თუმცა ისინი უშუალოდ უნდა ახორციელებდნენ თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და კომპანიას შორის 2015 წლის ** *****-ს გაფორმებული და დღეს მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში.

ამასთან, ერთ-ერთმა თარჯიმანმა, რომლის დიპლომი ამჟამად განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე, აპარატში გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ მას კომპანიის წარმომადგენლებმა სთხოვეს, დაედასტურებინა მისი მხრიდან ზეპირი თანხმობის გაცემის ფაქტი, თუმცა საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას მისი მონაცემების გასაჯაროების შესახებ.

კომპანიის წარმომადგენელმა აპარატში გამართულ ზეპირ განხილვაზე განმარტა, რომ კომპანიამ ერთჯერადად მოიპოვა თარჯიმანთა თანხმობა მათი მონაცემების გამოყენებაზე და არ ხდებოდა კონკრეტულ ტენდერთან დაკავშირებით მათი ინფორმირება. ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა თავად გადასცა დიპლომი კომპანიას, ვერ ჩაითვლება მისი მონაცემების შემდგომ გასაჯაროებაზე გამოხატულ თანხმობად, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ თანხმობად განიხილება მხოლოდ განსაზღვრული მიზნით გამოხატული თანხმობა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის მხრიდან მისი მონაცემების დამუშავების (სააგენტოს ვებგვერდზე გასაჯაროების გზით) შესახებ გამოხატული თანხმობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, ასევე ვერ მიუთითა დამუშავების სხვა საფუძვლის არსებობა. ამდენად, კომპანიის მხრიდან დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5

მუხლის მოთხოვნები, რაც იწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, 26-ე, 27-ე, 34-ე, 39-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს მ.თ.-ს 2015 წლის 01 ივლისის №01/384 განცხადებასთან დაკავშირებული წარმოება და ეცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
2. შპს „ა“ (ს/კ *********) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;
3. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №0000042;
4. დაევალოს შპს „ა“-ს, პერსონალური მონაცემები დაამუშაოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;
5. ეცნობოს შპს „ა“-ს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
6. ეთხოვოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაუგვიანეს 2015 წლის 01 ოქტომბრისა უზრუნველყოს ვებგვერდიდან (https://tenders.procurement.gov.ge) 2015 წლის ** ***-ს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: SPA *********, შემსყიდველი: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საგანი: მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურება) შპს „ა“-ს მიერ ატვირთული მ.თ-ს დიპლომის (BN*****, სარეგისტრაციო ნომერი №**/***) ასლის წაშლა;
7. ეცნობოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
8. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი